№ 13 (1239) თბილისი, ივლისი 1966

# ნიანგი

გამოცემის 44-ე წელი. ფასი 20 კაპ.

4/1966

ეროვნული ბიბლიოთეკა

— წუნეთში ოთახი 700 მანეთი დაგიჯდებათ!
— კი არ ვყიდულობ, ბატონო, ერთი თვით მინდა.



„სმა-ჭამა — ღიღინ შენსავით...“

## პროლოგის მაგიერ

„ჩიფი-ბიფი — 86 კაპ.
წიწილა — 1 მან. 85 კაპ.
შემწვარი ჯიგარი — 21 კაპ“.
(იხ. რესტორნებისა და სასადილოების ტრესტის მენიუ. 1966 წელი, მე-2 გვ.)
„ჩიფი-ბიფი — 1 მან. 50 კაპ.
წიწილა — 2 მან.
შემწვარი ჯიგარი — 2 მან.“
(იხ. მიმტანის ზეპირსიტყვაობა, ტომი III, გვ. 999-ე, 1966 წ.).

იცით თუ არა თქვენ, რომ რესტორანში ერთი ბოთლი № 8 ღვინო ღირს 1 მანეთი და 5 კაპიკი, ერთი ულუფა შემწვარი ჯიგრის ფასი 21 კაპიკია, მწვანილის — 9 კაპიკი; არც ყველი ღირს მაინცა და მაინც ძვირი და ლობიოს ფასი 8 კაპიკს არ აღემატება?

იცით?

მე მგონი, რომ არა!

აი, თქვენ, მეგობართან ერთად, შეხვედით ტყემ-რესტორანში. მოითხოვეთ ერთი წიწილა ტყემლით, ორი შემწვარი ჯიგარი, ორი ბოთლი ღვინო, ყველი, ლობიო, მჟავე წიწაკა, ლიმონათი, ბორჯომი და პური. ასეთი სუფრა მართლაც მობორჯომი... გილიტინებთ სანერწყვე ჯირკვლებზე და კარგ გუნებაზე დაგაყენებთ. თქვენ ჯიბეში მხოლოდ ერთი ტკიცინა ოცდახუთმანეთიანი გეგულებათ და გული გისკდებათ ანგარიშის მოლოდინში. რა თქვენი ბრალია, ასე მიგაჩვიეს და ასევე მიაჩვიეთ. მიმტანი თავაზიანად გიღიმით და, თქვენ უკვე იცით, რომ ეს ღიმილიც ფული ღირს. თქვენი გონება გამომთვლელ მანქანაზე სწრაფად მუშაობს: „წიწილა — ოთხი მანეთი, ტარხუნა — 30 კაპ., წიწმატი — 30 კაპ., ბოლოკი — 40 კაპ., ხახვი — 30 კაპ“. ერთი სიტყვით, მწვანილი — ორ მანეთამდე. ყველი და წიწაკაც, ალბათ, ამდენივე, ღვინო — ოთხი მანეთი; ლიმონათი, ბორჯომი, პური, ლობიო — სამ მანეთამდე. ორი ჯიგარი ოთხი მანეთი მაინც იქნება. ამას დაუმატოთ მიმტანის ღიმილი, ცოტაც მე უნდა ვაჩუქო... მგონი, ვილუპები!

გიახლოვდებათ მიმტანი. თვალებს ვერ გისწორებთ და დარცხვენილი ჩურჩულებს:

— ცხრა მანეთი და 97 კაპიკი!

თქვენ აღფრთოვანებული ხართ, სიამოვნების ჟრუანტელი დენივით გივლით სხეულში და, მიმტანის პატიოსნებით მოხიბლული, ტკიცინა ოცდახუთმანეთიანიდან მხოლოდ თორმეტ მანეთს იბრუნებთ ხურდას.

იცით, რა დაჯდა თქვენი პურ-მარილი? თუ გულს უჩივით, მაშინ არ გეტყვით. არ უჩივით? ძალიან კარგი! თქვენ უნდა გადაგეხადათ ოთხი მანეთი და ორმოცდაექვსი კაპიკი. თქვენ ხდებით ცვლადი დენის კიდევ ერთი თვისების მოწმე: ისევ დაგიარათ დენმა, მაგრამ, ამჯერად, არცთუ ისე სასიამოვნო ჟრუანტელი მოგგვარათ.

იქნებ, გგონიათ, მარტო თქვენ ხართ ასეთ მდგომარეობაში? არა! ჩვენც თქვენს დღეში ვართ და ჩვენისთანა კიდევ სხვა მრავალი...

## ჯიგარი და ჯიგრის ბიჭები

თბილისის შემოგარენმა ჩვენც გადაგვრია, გადაგვრია და ოქროყანას მივადექით. მანქანამ წრე დაარტყა ჩრდილის ძებნაში და ჩვენ მებუფეტის პირისპირ აღმოვჩნდით.

— ერთი ხიზილალა, სამასი გრამი კონიაკი, ყველი, კიტრი და პამიდორი! ორი ჯიგარი გააკეთე, ცხარე იყოს, ცხარე! მწვანილი იგულისხმება: დანარჩენი, შენ იცი! — შეუკვეთა ჩემმა მეგობარმა და მაგიდას შემოვუსხედით.

მებუფეტე აშოტ ვართანოვის ერთი შემოხედვა და ჩვენ შეფასებულნი ვართ. სად იყო და სად არა, „მიმტანიც“ გაჩნდა (თუმცა შტატში იგი მიმტანად არ იყო გაფორმებული).

შტატი რას მიქვია, როცა კლიენტის პატივისცემა გინდა. ჰოდა, „გაოფიციანტებული“ მუშაც დატრიალდა. აფსუსი არ არის, ეს „შტატნი“ ოფიციანტი არ იყოს? თუმცა, როგორც ამბობენ, ჩვენი მომსახურების შემდეგ, ისე მოსწონებიათ, რომ შტატშიც აუყვანიათ.

შეიძლება, რაღაც კერძი ჩვენც დაგვავიწყდე! და მიმტანსაც. ღმერთმა სწორედ ამიტომ შექმნა მენიუ, რამეთუ ჩვეულებრივ მოკვდავთა მეხსიერება სანდო არაა. გადავატრიალეთ მაგიდები, აქეთ ვეცით, იქეთ ვეცით, მაგრამ რა დაგკარგვია, რას ეძებ?! ბოლოს, როგორც იქნა, გუშინწინდელი მენიუ მოგვიტანეს.

— აბა, ერთი ანგარიში! — მოკლედ მივმართეთ მებუფეტე აშოტ ვართანოვს.

— 17 მანეთი! — უფრო მოკლედ გვიპასუხა მან.

გაოცებულნი დავრჩით და ანგარიშის დაწერა ვთხოვეთ.

დირექტორ რუბენ იაშალაშვილს სულაც არ გაკვირვებია, როცა ჩვენი დანახარჯი ექვსი მანეთი და 84 კაპიკი აღმოჩნდა.

— რა მოხდა, ჯიგრებოჯან, შეცდომებზე ვიზრდებით! — ღიმილით გვამშვიდებს იაშალაშვილი.

შეცდომებზე რომ ვიზრდებით, გასაგებია, მაგრამ მებუფეტე ვართანოვის „შეცდომებზე“ ვისი ჯიბე იზრდება, გასარკვევია. შეცდომები კი მართლაც ბევრია: სამასი გრამი კონიაკის ნაცვლად, ორასორმოცდაათი გრამი მოგვიტანეს, ოთხმოცი გრამი ქართული ყველის ნაცვლად — სამოცდათხუთმეტი გრამი, თუმცა, სიმართლე უნდა ითქვას: სამოცდაათი გრამი სულგუნის ნაცვლად, ას ოცი გრამი მოგვიტანეს, ორმოცდაათი გრამი ხიზილალის ნაცვლად — სამოცდაათი გრამი, ხოლო ას ორმოცდაათი გრამი პამიდორის ნაცვლად — ორას ორმოცდაათი გრამი.

— საიდან იღებთ პამიდორს, კიტრსა და ვაშლს?

— როგორ თუ საიდან? ბაზრიდან! ამისი უფლება გვაქვს.

ვნახეთ შესყიდვის ფაქტურები და თვალს არ დავუჯერეთ: ბაზრის ფასებთან შედარებით, სამჯერ იაფადა აქვთ შეძენილი. ნეტავ, სად ნახეს ასეთი იაფფასიანი ბაზარი?!

ასე რომ, ჩვენი რჩევაა: ვისაც გინდათ, კარგად და გემრიელად გაატაროთ დასვენების დღე, მიაშურეთ თბილისის გარეუბნის „კურორტვაჭრობის“ ოქროყანის სასაუზმეს. აქ თქვენ შეგიძლიათ დატკბეთ შესანიშნავი პეიზაჟით და კმაყოფილი დარჩეთ „კარგი მომსახურებით“. კარგი მომსახურება კი ყველას როდი შეუძლია!

## ზოგჯერ კარგი სიმყუდე გემრიელი ულუფაა!

„მომხმარებელო! კულტურულად მოექეცი დახლის მუშაკებს!“
„დახლის მუშაკო! იყავ თავაზიანი მომხმარებლის მიმართ!“

პლაკატებიდან

პარიკმახერსაც უნდა წვერის გაპარსვა, ექიმსაც ჭირდება მაჯის გამსინჯველი, მეჭისესაც უნდა ტანის დაბანა და, რა თქმა უნდა, მებუფეტესაც უნდა პურის ჭამა. ამ მხრივ გამონაკლისი როდია რესტორან „ჩარგლის“ მებუფეტე გიორგი რუხაძე. ჩვენ სწორედ იმ დროს მივედით სავახშმოდ, როცა გიორგიც ვახშმობდა, ვახშმობდა უბრალოდ კი არა, — ღვინით, ვახშმობდა მარტო კი არა — ძმაკაცებთან. ყურადღება არ მოგვაქციაო, რომ ვთქვათ, არ იქნება სწორი. რუხაძემ ყურადღებაც მოგვაქცია და კიდევ მეტიც: მართალია, სულაც არ ეჭაშნიკა ჩვენთან საუბარი და ამისი დაფარვა არც კი უცდია, მაგრამ ყურადღება მაინც მოგვაქცია. მებუფეტესაც უნდა პურის ჭამა, მაგრამ გააჩნია სად, როდის და როგორ!

გიორგი რუხაძე კი იმ ღამეს იყო ცოცხალი რეკლამა, აკლდა მხოლოდ წარწერა: „აი, როგორ არ უნდა დათვრეს ადამიანი!“, თავი რომ დავანებოთ წარწერას: „აი, როგორ არ უნდა დათვრეს ადამიანი სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს!“

## ეჰ, ვართანუშ, ვართანუშ!

კომკავშირის ხეივნიდან ხელისგულივით მოჩანს თბილისი და, იქნებ, სწორედ ამიტომ ექაჩება ხელისგული კომკავშირის ხეივანში მდებარე № 26 პავილიონის ზოგიერთ თანამშრომელს. ხელისგულის ქავილმა ფული იცისო, იტყვიან ცრუმორწმუნენი. ჩვენ კი ცრუმორწმუნენი არა ვართ და მაინც დავიჯერეთ.

— ლიმონათი, ბორჯომი, პური, მჟავე, მწვანილი, ყველი, ორი ჩიფი-ბიფი!

დაკვეთა მიღებულია, მიმტანი ვართანუშა ტონიანი დატრიალდა. მოტანა ვერ მოასწრო და მაგიდა დაცარიელდა.

— ანგარიში! — მოვთხოვეთ ჩვენ.

— ხუთი მანეთი და 30 კაპიკი!

გაოცებულნი ვართ.

— ოთხი მანეთი და 50 კაპიკი! — უკვე სხვა ტონით თქვა ტონიანმა. მესამედ ვაანგარიშებინეთ.

— ორი მანეთი და ოთხმოცდათხუთმეტი კაპიკი!

მებუფეტე კობერიძე გახვითქულია. ხელში ბეჭედი უჭირავს და დაუდალავ ოცდასამ ნომერ ღვინოს დაღავს.

— წინა დღით, საღამოს ცხრა საათზე, მივიღეთ ღვინო. დირექტორი ბანკში იყო წასული და ბეჭედიც მას ჰქონდა. ახლა მხოლოდ ორი ყუთიღა დაგვრჩა დასადაღავი. — მთელი სერიოზულობით გვპასუხობს კობერიძე და რა უფლება გვაქვს, ასეთ დარბაისელ კაცს არ დავუჯეროთ!

უნებლიეთ გვებადება კითხვა: ხომ შეიძლება, ზოგიერთმა „მოხერხებულმა კაცმა“ ეს მდგომარეობა ბოროტად გამოიყენოს? ხომ არ აჯობებდა, ღვინო იმ საწყობში დაედაღათ, საიდანაც ანაწილებენ, ხოლო მებუფეტეს საზოგადოებრივი კვების საკითხებზე ეზრუნა? ჩვენ გვგონია, ასე ჯობებდა!

## 15 მანეთს + 91 კაპიკი = ოცდაოთხ მანეთს

„რაც მოგივა დავითაო, ყველა შენი თავითაო“.

ხალხური

ვაკის კულტურისა და დასვენების პარკში მდებარე რესტორანზე საყვედურს ვერ ვიტყვით. აქ ყველაფერი იზიდავს ადამიანს — ბუნება, რესტორნის ადგილმდებარეობა, მადისმომგვრელი სამზარეულო, იქვე, თონიდან ამოყრილი დაბრაწული ქართული პურები, გრილი ნიავი და თავაზიანი მომსახურება.

მართლაც, ვაკის რესტორანზე არაფერი ეთქმით მომხმარებლებს, მაგრამ, როგორც იტყვიან, ერთი მახინჯი ოჯახშიც გამოერევა.

— ანგარიში! — მოითხოვა ჩემმა მეგობარმა და ალერსიანად გადახედა მის გვერდით მჯდომ საცოლეს.

— ოცდაოთხი მანეთი! — დაიგრგვინა მიმტანმა.

— თუ ძმა ხარ, — გვერდზე გაიხმო ჩემმა მეგობარმა მიმტანი და ეჩურჩულება, — თავს ნუ მომჭრი, მხოლოდ ოცი მანეთი მაქვს, ახლა ეს აიღე და ამ საღამოსვე მოგიტან ოთხ მანეთსაც.

მიმტანმა წარბები შეკრა, სახე გაიქვავა და იფეთქა:

— მოიტან-მიიტან, არ ვიცი მე! ფული გადაიხადე, ფული, თორემ!..

უცებ ჩემს მეგობარს ზემთაგონება ეწვია.

— ევრიკა! — იყვირა მან. — ანგარიში დამიწერე!

მიმტანის გაქვავებული სახე შეტოკდა.

კოლია ჯოხაძე ველარ უძლებს კლიენტის განრისხებას და წერად ჯდება.

— 15 მანეთი და 91 კაპიკი! — ჯოხდარტყმულივით ამბობს ჯოხაძე.

ვაკის პარკის რესტორანზე საყვედურს მართლაც ვერ ვიტყვით.

## „არ გეკადრება, არ გეკადრება!..“

ალბათ, დამეთანხმებით, რომ კვების მრეწველობის სამინისტროს შენობაში კვების საკითხი ყველაზე კარგად უნდა იყოს მოწესრიგებული. სწორედ ამ ცთუნების გამო ჩვენ სასადილოების პირველი ტრესტის № 77 სასადილოში აღმოვჩნდით. პირველ რიგში, ხელის დაბანა გადავწყვიტეთ და მივაშურეთ დარბაზში მდგარ ხელსაბანს, რომელიც, თქვენ წარმოიდგინეთ, არ არის იზოლირებული სასადილოდან. ეს თავისებურად საინტერესოც არის: თქვენ შეგიძლიათ, ერთდროულად ისადილოთ კიდეც და, ამავე დროს, უყუროთ, როგორ იბანენ ხელებს ნაცნობ-უცნობები. როგორც თვითმომსახურების სასადილოებს შეეფერებათ, აქ მთელი ავლადიდება ვიტრინაზეა გამოფენილი. ეძებთ მენიუს და, ბოლოს, დამნაშავესავით კედელზე აკრულს პოულობთ. კითხულობთ: „ძეხვი ადღენი“, „ყველი საბჭოსი“ (მითითებული არ არის, რომელი საბჭოსია!!!) და ასე შემდეგ. ირკვევა, რომ ეს ცივი საუზმის მენიუ ყოფილა, ხოლო ცხელის, რატომღაც, თურმე მოლარესთან ინახება. (ცხელი ჰქვია, თორემ რა ცხელი უნდა იყოს, როცა სამზარეულოს ღუმელმა, თითქმის ორი თვეა, სითბო რა არის, არ იცის). სამაგიეროდ, იქვეა მინიატურული ღუმელი და მთელი იმედი მასზეა დამყარებული. ამიტომ, კერძები წინა დღით მზადდება და, რა თქმა უნდა, კარგავს გემოსა და ხარისხს.

სამზარეულოში უცხო პირები ისე თავისუფლად დაიარებოდნენ, დერეფანი გეგონებოდათ. სისუფთავესაც ვერ დაიკვეხნიდნენ. ყველაფერი ეს კი იმის ბრალია, რომ სასადილო დიდი ხანია გასარემონტებელია, მაგრამ, რატომღაც, ჯერ მისთვის ვერ მოიცალეს.

კვების მრეწველობის სამინისტროს ასეთი სასადილო მართლაც რომ არ ეკადრება!

## ეპილოგის მაგიერ

ოდითგანვე ცნობილია ქართული პურ-მარილის ლაზათი. ქართული კერძების გემო და ნაირფეროვნება. სწორედ ამის გამო, ქართულმა სამზარეულომ და მომსახურებამ მაღალი შეფასება მიიღო მოსკოვის სპეციალურ გამოფენაზე 1966 წელს და ქართული სუფრა ოქროს მედლით დაჯილდოვდა. სასიამოვნოა, რომ ჩვენი რესტორნების ბევრმა მუშაკმა მთავრობის მაღალი ჯილდო დაიმსახურა. ყოველივე ამის ფონზე კი განსაკუთრებით ცუდად ჩანს ზოგიერთი რესტორნისა თუ სასადილოს, კაფესა თუ სასაუზმის მუშაკთა საქმისადმი გულგრილი დამოკიდებულება და ცუდი მომსახურება, მერე რა ცოტაა საჭირო იმისთვის, რომ არ შევარცხვინოთ ქართული პურ-მარილი და ნასიამოვნები მომხმარებელი გავიმრავლოთ!

გ. მეტრეველი, ო. სადრაძე, გ. სამსონაძე,
„ნიანგის“ სარეიდო ბრიგადის წევრები.

ნახ. ზ. ნიჟარაძისა



## დაწვას დახრჩობა სჯობია!

ერთ წვიმიან დღეს მოვარდა ნიაღვარი და... თბილისის სამშენ მასალათა კომბინატი ყელამდე ჩაჯდა წყალში. გაჩერდა ქარხანა და წყალში ჩავარდნილის თვალით გვანიშნა — თუ მართლა ადამიანები ხართ, მიშველეთო.

— სახანძროს დავუძახოთ! — იკივლა ერთმა.

— დავუძახოთ, დავუძახოთ! — იბღავლა მერე ყველამ.

დირექტორი ტელეფონს მიუჯდა: სახანძროა? არა? ბოდიში, ბატონო, ნოლ ადინზე ვრეკავ! მეორედ აკრიფა — საჯარო ბიბლიოთეკაში მოხვდა. აკრიფა მესამედ — ბაზარში მოახვედრეს.

— მე წავალ, შევატყობინებ! — გამოიჩინა „დოსააფის“ რწმუნებულმა ინიციატივა, მოტოციკლი აათუხთუხა და გავარდა.

— აითესა. — თქვა ერთმა.

— არა, ასეთ დროს არ გვიღალატებს. ისეთი პირიანი ბიჭია, ერთ ჭიქა ღვინოსაც არ მოგპარავს.

— აპა, გვშველებია და ეგ არი!

სულ რაღაც ერთი საათი გავიდა და ქარხნის ეზოში წივილ-კივილით შემოგრიალდა ორჯონიკიძის სახ. რაიონის სახანძრო რაზმის სისხლისფრად შეღებილი ორი მანქანა. მეხანძრეებმა თავები გადმოყვეს ფანჯრიდან, ცნობისმოყვარედ შეგვათვალიერეს, მერე ზურგი შეგვაქციეს და გაგვებუტნენ. რაზმის უფროსი ზოზინით გადმოვიდა მანქანიდან და ფეხის წვერებზე გამოჰყვა ტბორს.

— გვიშველეთ, ბატონო, წყალში ვიხრჩობით! — შევევედრეთ ჩვენ.

— ამისთვის შეგვაწუხეთ? — დაგვამადლა მოსვლა მან.

— ბოდიში, ბატონო, აწი გვეცოდინება; სუფრას რომ შემოვუსხდებით, მაშინ დაგიძახებთ. — იხუმრა ვიღაცამ.

— ჩვენ ვინა ვართ, იცით? — დაგვიწყო მერე გამოცდა.

— მეხანძრეებს გავხართ და თქვენგან ჩამქრალი ხანძარი ჯერ არ მინახავს. — წაიქილიკა ერთმა.

— რა ჩავაქროთ, სადაა ხანძარი?!

— წყალი ხომ არის?

— წყალი ჩვენი იარაღია!

— ჰოდა, აიღეთ ეს იარაღი და მოგვაშორეთ აქედან!

— როგორ?

— როგორ და ამოტუმბეთ მანქანით, ლექციას რომ გვიკითხავ!

— ეგ არ გახლავთ ჩვენი საქმე! — გვტკიცა უარი. — ცეცხლი რომ გაგჩენოდათ, კი ბატონო!

— წყალი დაგვახრჩობს თუ ცეცხლი დაგვწვავს, რა მნიშვნელობა აქვს? — გაიკვირვა ერთმა ქალმა.

— აბა, ახლა, ესმის ამას, რა არის ცეცხლში დაწვა?.. ხელი დაგიწვია ოდესმე? — ჰკითხა მას უფროსმა.

— ენა დაუწვა ერთხელ ცხელმა კარტოფილმა. — გაეხუმრა კედლის გაზეთის რედაქტორი.

— ჰოდა, თუ დასწვია, ნახავდა, რა მწარეა. სად ცეცხლში დაწვა და სად — დახრჩობა! არა თქვათ ახლა, დაწვა დახრჩობას სჯობიაო! — გულმოსული შევარდა კაბინაში და სანამ კიდევ მოვასწრებდით რაიმეს თქმას, ისევ წივილ-კივილით მოჰკურცხლეს ცეცხლისფერმა მანქანებმა.

როდესაც მივხვდით, რომ მეხანძრეებს არ ჰქონიათ წყლის ამოტუმბვის უფლება, ჩვენვე შევეიარაღდით ამ უფლებით — ვედროებით ალვიჭურვენით და წყლის ამოღვრა დავიწყეთ, რადგან არც ერთ ჩვენგანს არ სურდა საკუთარ თავზე გამოეცადა, თუ რამდენად უკეთესია დახრჩობა დაწვაზე.

მ. აბაშიძე.

## ერთი შვილი — არაშვილი

ბიჭიაო? —დამესიენ
უცებ შინაურები,
მეგობრებმა, მეზობლებმა
ამახიეს ყურები.

„სულ სხვა არის ბიჭის ზარი
ბიჭი ნატვრისთვალია!
ქალი, რაც არ უნდა იყოს,
ქალი მაინც ქალია!“

ჰოდა, ბიჭის გასაზრდელად
მოემზადნენ „ძიძები“:
ბებიები, ბაბუები,
დეიდები, ბიძები.

დიდი საქმე გამოუჩნდათ
გაუთხოვარ მამიდებს,
მშობლებს არვინ აღარ გვენდო,
ყველა ჰკუას გვარიგებს.

„ჭერ ახლოს არ გაეკაროთ!..“
„ბავშვები ხართ, რა გესმით!“
თვითონ კი გულს იჭერებენ
კოცნითა და ალერსით.

ყველა თავზე დასტრიალებს,
ყველა ფრთაგშლილია,
ამდენ ხალხში ერთი შვილი
მართლაც არაშვილია.

ზ. კაციაშვილი

ნახ. ჯ. ლოლუაძე



## ქართული ნათარგმანები

მე ერთი წელია, რაც „ნიანგი" მეთოდურად აქვეყნებს რუსულ-ქართულ ლექსიკონს რუსულიდან ქართულად და ქართულიდან რუსულად მთარგმნელთა დასახმარებლად. მე, როგორც ერთ-ერთი გულმოდგინე მოსწავლე და პოტენციური მთარგმნელი, პირველი მივესალმე და მოწყურებული დავეწაფე ამ დიდ ეროვნულ წამოწყებას. თუ რა შედეგებს მივაღწიე ამ ერთი წლის გულმოდგინე მეცადინეობით, გაჩვენებთ ქვემორე.

ვიდრე კლასიკოსთა ნამოღვაწარის თარგმანებას შევუდგებოდე, მინდა ერთი უცნობი მწერლის უმნიშვნელო მოთხრობის ნაწყვეტის ექსპერიმენტული თარგმანი შემოგთავაზოთ.

აი, ისიც:

«День был **туманный**, когда я и Николай познакомились. Он оказался **неряхой, но достаточно серьезным**. Он и **садистом** был. Носил с собой **молоток**. Однажды швырнул в меня **булыжник**, но был **помилован**.

Николай был **пловцом**. Любил **науку, клубнику** и ходил **с гвоздикой. Раз пять** я взялся его **обучать**. Нанял **кабинет**, достал **садовые ножницы, автомат** и **палитру**.

Этот **грузный мужчина наконец** сдался...»

„დღე იყო ᲗᲣᲛᲜᲘᲐᲜᲘ, როდესაც მე და ნიკოლოზმა ერთმანეთი გავიცანით. ის ᲛᲣᲕᲘᲜᲗᲐᲕᲘ აღმოჩნდა, მაგრამ ᲖᲣᲡᲢᲐᲓ ᲐᲡᲐᲛᲓᲔ ᲛᲝᲜᲐᲪᲠᲘᲡᲤᲔᲠᲝ. იგი ᲛᲔᲑᲐᲚᲔᲪ იყო. თან დაჰქონდა ᲞᲐᲢᲐᲠᲐ ᲓᲔᲜᲘ. ერთხელ, ᲛᲝᲗᲮᲘᲚᲐᲛᲣᲠᲔ ᲑᲣ მესროლა, მაგრამ ᲒᲐᲡᲐᲞᲜᲣᲚ ᲘᲥᲜᲐ.

ნიკოლოზი ᲤᲚᲐᲕᲘᲡ ᲒᲐᲛᲙᲔᲗᲔᲑᲔᲚᲘᲪ იყო. უყვარდა ᲞᲐᲢᲐᲠᲐ ᲜᲐᲕᲘ, ᲜᲘᲙᲐᲡ ᲙᲚᲣᲑᲘ და ᲞᲐᲢᲐᲠᲐ ᲚᲣᲠᲡᲛᲜᲘᲗ დადიოდა. ᲯᲕᲐᲠᲡ ᲕᲔᲪᲕᲘ და დავუწყე ᲐᲑᲣᲩᲐᲓ ᲐᲒᲓᲔᲑᲐ.

ᲙᲐᲑᲘᲜᲔᲢᲘ ᲐᲠ ᲘᲧᲝ, ამიტომ ვიშოვე ᲡᲐᲓᲐᲣᲠᲘ ᲛᲐᲙᲠᲐᲢᲔᲚᲘ, ᲐᲕᲗᲝᲡ ᲓᲔᲓᲐ და ᲜᲐᲮᲔᲕᲐᲠᲘ ᲚᲘᲢᲠᲐ.

ეს ᲐᲛᲮᲔᲓᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲛᲐᲛᲐᲙᲐᲪᲘ ᲓᲐᲛᲜᲔᲑᲓᲐ".

მე არა ვარ ამაყი და არ ვაპირებ ამით დაკმაყოფილებას. ჯერ კიდევ ბევრი მუშაობა და სწავლა მჭირდება, რომ თარგმანის ჭეშმარიტ სრულყოფას მივაღწიო. ამიტომ, ვთხოვ „ნიანგს", გააგრძელოს რუსულ-ქართული ლექსიკონის გამოქვეყნება.

**მადლიერი მთარგმნელი ჯ. დ.,**

# ნიანგის პრეს-კონფერენცია

იმ დღეს დიდი გამოცოცხლება იყო ნიანგის პრეს-კონფერენციის დარბაზში. სადაც უამრავ მსმენელს მოეყარა თავი. ნიანგმა, ჩვეულებრივ, ბუზის გაფრენის გასაგონი სიჩუმე მოითხოვა და მორიგი პრეს-კონფერენცია გახსნილად გამოაცხადა.

პირველი შეკითხვის უფლება სოფელ 1-ლი სვირის (ზესტაფონის რაიონი) წარმომადგენელს — ტატო სამყურაშვილს მიეცა.

**ტ. სამყურაშვილი:** 1-ლი სვირი დიდი სოფელია, მაგრამ მას მხოლოდ ერთი ავტობუსი ემსახურება, რომელიც სრულებით ვერ აკმაყოფილებს მოსახლეობის სამგზავრო მოთხოვნილებას. რა ვქნათ?

**ნიანგი:** ვინაიდან 1-ლი სვირი დიდი სოფელია, ალბათ შუამდგომლობა, რომ ქალაქად გადააკეთონ. იქნებ, მაშინ მაინც დაგინიშნონ მეორე ავტობუსი.

**ლ. აროშიძე** (ქ. თბილისი): ა. წ. 30 მარტს ფეხსაცმელების მაღაზიაში შევიარე (რუსთაველის პროსპ. № 37). თვალი მომჭრა ე. წ. დაბალქუსლიანმა „ჩუსტიკებმა" (არტიკული 4246/III ЯЛ, ფაბრიკა № 6). ვიყიდე, ჩავიცვი და, დავადგი თუ არა ფეხი დედამიწას, ჩუსტიკებმა" მშიერი ნიანგივით დააღო პირი. უკანვე მივიტანე. ან ფულს დაგიბრუნებთ, ან გამოგიცვლითო, მითხრეს. ერთი კვირის შემდეგ...

**ნიანგი:** ავტობიოგრაფიას გვიყვებით?

**ლ. აროშიძე:** ახლავე, ბატონო!.. ჰოდა, ერთი კვირის შემდეგ, შეკეთებული ტუფლები ჩამაბარეს, მაგრამ, იმავე საღამოს (!!!), იმავე პროსპექტზე სეირნობისას, მარცხენას ქუსლი მოძვრა. მერე, ღმერთმა მომხედა და ორ წუთში მარჯვენასაც მოძვრა ქუსლი, რამაც გადამარჩინა კოჭლის რეპუტაციას.

გთხოვთ, მასწავლოთ — როგორ მოვიქცე? ქალამნები შევიკერო, თუ მეჯლანეობა ვისწავლო?

**ნიანგი:** ქალამნები — არამც და არამც! ქალებს მოდა ეგონებათ და დავიღუპებით. ხოლო, თუ მეჯლანეობას ისწავლით, რაღა აჯობებს! თვითონვე შეაკეთებთ ხოლმე № 6 ფაბრიკის მიერ გამოშვებულ საკუთარ (ზოგჯერ სხვისასაც!) ფეხსაცმელებს და, მაღაზიის დირექტორის ჯინაზე, მუდამდღე რუსთაველის პროსპექტზე ისეირნებთ.

**ა. როსტომაშვილი** (სოფ. გორისა, საჩხერის რაიონი): 1965 წლის 24 მარტს საჩხერის რაიკოოპერატივის გამგეობამ „სოფკოოპმშენის" ქუთაისის მეოთხე სამშენებლო სამმართველოს ხელშეკრულება დაუდო, რათა გორისაში უნივერმაღი აეშენებინათ. ამისათვის გამოიყო 15.800 მან., მაგრამ მშენებლობა ისე გაჭიანურდა, რომ დღეისთვის დარჩენილი სამუშაოების ღირებულება 3.929 მანეთს შეადგენს. რაშია საქმე?

**ნიანგი:** ალბათ, ქუთაისის მე-4 სამშენებლო სამმართველოს მესვეურთ ისე ძალიან უყვართ თავიანთი ქალაქი, რომ არა მარტო საკუთარი, არამედ ქუთაისის სავაჭრო ორგანიზაციების გეგმის შესრულებაზეც ზრუნავენ. როგორ გგონიათ, უნივერმაღს რომ წამოუჭიმავენ, გორისელები კვლავაც ივლიან ქუთაისში ჯიბის სარკისა და კბილის ჯაგრისის საყიდლად?

**ლანჩხუთის რაიონის სოფ. ქვიანის წარმომადგენელი:** ჩვენ, ქვიანელებს, არა გვაქვს კლუბი. ერთხელ, აიღეს და ძველი სასაფლაო გადათხარეს, აღმისდროინდელი მკვდრები ამოყარეს, საძირკველი ჩაყარეს და... მიატოვეს. რადგან კლუბის აშენებას არაფერი ეშველა, ხომ არ შეიძლება, რომ მის კედელს ზურაბივით ჩავატანოთ დამნაშავე?

**ნიანგი:** არ შეიძლება! დანიელის მოთხრობაში ციხეს აშენებენ და არა — კლუბს. ისე, საოცარი კია, რომ დამნაშავე ვერაფრით შეგიშინებიათ! რაც უნდა იყოს, თქვენი სოფელი ხომ ქვიანია?

**გ. გიორგაძე** (ქ. რუსთავი): კარგა ხანია, გვპირდებიან, თითოეული რუსთაველის ონკანში ხრამის წყალი იჩუხჩუხებსო, მაგრამ დაპირება დაპირებად რჩება. თქვენი აზრით, როდის გვეშველება?

**ნიანგი:** ალბათ, წლევანდელ სექტემბერში: რუსთაველის დაბადების 800 წლისთავი მოდის და...

**ი. წიკლაური** (თბილისი, პავლოვის, 24-ა): ჩვენი საცხოვრებელი სახლის პირველ შესასვლელში ლიფტის ადგილი არის, მაგრამ ლიფტს არა და არ გვიკეთებენ. მე მე-6 სართულზე ვცხოვრობ და სანამ ბინაში ავიდოდე, ლამის გული გამისკდეს ქოშინით. როგორ მოვიქცე?

**ნიანგი:** ვისაც ლიფტის გაკეთება ევალება, ისიც თუ მე-6 სართულზე ცხოვრობს, მაშინ შემიძლია რაციონალიზატორული წინადადება შემოგთავაზოთ — შეკარით მეზობლებმა პირი და, ყოველდღე, დოლ-გარმონით აქეიფეთ იგი. პურ-მარილი აუცილებლად გაასუქებს და იმასაც ქოშინს აუტეხს. მერე, ალბათ...

**ი. წიკლაური:** არა, ბატონო, ის მეზობელ ქუჩაზე ცხოვრობს, მეორე სართულზე.

**ნიანგი:** მაშინ პირადად თქვენ გადაუცვალეთ მას ბინა.

**ი. წიკლაური:** რომ არ დამთანხმდეს?

**ნიანგი:** აიღეთ და უკანასკნელ საშუალებას მიმართეთ: ფული შეაძლიეთ. გახსოვდეთ ჩემი აფორიზმი: „ვინც საქმეს არ აკეთებს, მაშასადამე, ფულს აკეთებს!"

პრეს-კონფერენციის შემდეგ გაიმართა დიდი კონცერტი მხატვარი-კარიკატურისტებისა და ფელეტონისტების მონაწილეობით.

**სტენოგრაფიულად ჩაიწერა**

**გ. ზარნაძემ**



— რამდენჯერ გითხარი, თავით არ გადახტე-მეთქი!



ამას წინათ ვასო გოძიაშვილის იუბილეზე ვუხსენებივართ, თორემ არც კი ვფიქრობდით თქვენთან წამოსვლასა.

როგორც კი თბილისში ჩამოვედით, კინჩი ჩავყლაპეთ, ქალაქმა არ დაგვცადოს-თქო.

სადგურიდან ხალხის ტალღამ მეტროში ამოგვაყოფინა თავი, საიქიოს ფოსტალიონი ვიხზე ნაკლებია, გაზეთის ყველა ნომერი რომ მოეტანა, მაგრამ მაინც ვიცოდით მიწისქვეშა გიგანტის შესახებ. დაიძრა თუ არა ვაგონი, მე და დარეჯანმა ერთმანეთს გადავხედეთ — მეორედ მოსვლა ხომ არ დაწყებულა-თქო. ახალგაზრდები რაღაც უცნაურად იყვნენ ჩაცმულები, გოგონებს ოქროს ჭვრები ეკიდათ და ქვესკნელში მიექანებოდნენ.

როდესაც „ზემელზე" ამოვედით, გული გაგვინათდა რუსთაველის პროსპექტის ხილვითა. ვერ ვიცნობდით ვერაფერს, მელიქ კაზარიანცის სახლი რომ არ დაგვენახა.

დარეჯანს ვუჩურჩულე, განახლებულ, გამშვენიერებულ თბილისში კარგი დრო გავატაროთ-თქო. ფულის საკითხი გვქონდა ცუდად, მაგრამ, გადავწყვიტე, ოქროს თუმნიანი გამეყიდა.

როგორც კი ვაჩვენე ოქრომჭედელს ოქროს თუმნიანი, ალმაცერად შემომხედა: ყალბი ხომ არააო.

როგორ! მაგას ვიკადრებ და თვალებში შემოგხედავ-მეთქი?

შენისთანები კადრულობენ სწორედაო, მოიტა უნდა გავსინჯოო.

ბაჯაღლო ოქროს, აბა, რა წუნი დაედებოდა?!

ნახევარი ფასი შემომთავაზეს და თავი ისე დაიჭირეს, თითქოს დიდ პატივს მცემდნენ, თუ საქონელს გამისაღებდნენ.

როგორ?! მთლად გამოუცდელი არ გეგონოთ-მეთქი, მორიდებით შევაპარე და გავიტრუნე.

ვაჰ, ბიძაჩემო! ეს რამოდენა ულვაშები მოგიშვია, კაცმა კომში რომ გესროლოს, არ ჩამოვარდებაო, — პამპულადაც ამიგდეს და მუცლის არეში ისეთი მიჩქმიტეს, თვალებიდან ნაპერწკლები გადმოვყარე.

მეტროში რომ გოგონები შემხვდნენ, ისინი გამახსენდა, როცა ოქრომჭედელს დახლქვეშ ოქროს ჭვრები დავუნახე და მესიამოვნა, რომ ახე ორგანიზებული წესით ხდებოდა მათი დამზადება.

ქუჩაში რომ გამოვედით, ბევრი უქუდოდ დადიოდა, — ახალგაზრდა და მოხუციც; გულში ვთქვი: ახლა კი მივხვდი, რად არ ახურავთ ზოგიერთებს ნამუსის ქუდი-მეთქი.

სასტუმროში ადგილები მხოლოდ უცხოელებისათვის არისო, — თქვა იქვე მდგომმა ახალგაზრდამ, რომელსაც არც ქუდი ეხურა და არც ფეხზე ეცვა (რაღაც ფოსტლებში ჩაეყო ფეხი), პასპორტში წითელი თუმნიანი ჩაედო და მორიგე ადმინისტრატორს ემასლაათებოდა.

ცოტა შევყოვნდი. როცა ის ახალგაზრდა სარკმელს მოსცილდა, მეც ისე გავაკეთე — ქაღალდში გამოვხვიე თუმნიანი და თანაც ბოლოში მოვუხადე, პასპორტები არ გვაქვს-მეთქი.

ადმინისტრატორმა დაყვავებით შემომხედა, თუმნიანს ხახვგაცრენებულად შეხედა და მითხრა: შენისთანა პატიოსან კაცს მეტს არ ვენდობითო?

დარეჯანს ეს რომ ვუთხარი, სახე გაებადრა და ხელმკლავი გამიკეთა: შენს მარიფათს ვენაცვალე, ამდენს თუ მოახერხებდი, ნამდვილად არ მეგონა, ამას ჩვენი დიამბეგიც ვერ შეძლებდაო.

— ყველა, ყველა, ჩემო დარეჯან და სადილობის დროც მოსულა, ერთი გავძღეთ ჩვენებურადა, ძველებურადა!

ოფიციანტმა ფანქარი მოიმარჯვა და ხელში ქვითრის დასტა აიღო.

— ნაზუქი არა გაქვთ, გეთაყვა?

— არც გამიგონია ასეთი!

— ზურგიელი!

— არც ეს გამიგონია!

— იქნებ ჩიხირთმა არის!

— ჩიფი-ბიფი, არა? — მეხმარება ოფიციანტი და იწერს.

— ბოზბაშიც გექნებათ!

— ბორშჩი! - შემომხედა ოფიციანტმა და ჩაიწერა.

— რა უნდა მექნა, დავეთანხმე.

— მეორეს რას მიირთმევთ?

ბიფსტროგონი, ბიფშტექსი, რამშტექსი, ლანგეტი!..

— სამზარეულოში შემოვალ, რომელი რაა, დავხედავ და მერე ავირჩევ! — სულწასულმა შევევედრე ოფიციანტს. მან ერთი შემომხედა, გულიანად გაიცინა და თვალს მიეფარა.

ფიქრებს მივეცი. ვფიქრობდი იმდენს, რამდენსაც ჩემი გონება და გადაღლილი თავი აიტანდა, მოვიგონე ქართულ ენაზე გამოცემული ყველა კულინარული წიგნი, იქ ჩამოთვლილი ჩემი საყვარელი კერძები, მაგრამ...

ნომერში რომ ავედით, ძლიერ გვესიამოვნა ხის საწოლებში ჩაკოტრიალება, მერი ისე ახლოს იყო, რომ უსათვალეებოდ შეგეძლო ბუზების დათვლა, მაგრამ, სამწუხაროდ, არსად ჩანდნენ ის დალოცვილები.

დილით ბაზრისკენ გავეშურეთ, ჩემს დარეჯანს ხულიგნებმა მუჯლუგუნი წაკრეს.

— მე რა მამაკაცი ვარ, ქალი რომ ვინმეს დავაჩაგვრინო-მეთქი და ერთი ისეთი დავუცაცხანე ხალახანებს, როგორც მოურავს და მოსამსახურეებს გავუჯავრდებოდი ხოლმე.

— ნერვებს გაუფრთხილდი, გენაცვალე! დღეს ის დრო კი არაა, როცა ტკბილად და აუმღვრევლად ვცხოვრობდით! — დამიყვავა დარეჯანმა და უკან დასაბრუნებელი ბილეთების შეძენაზე ფიქრი დავიწყეთ.

— ჩემო დარეჯან! კარგი რამ მოვიფიქრე: დისერტაცია უნდა დავიცვა ქართული კერძების შესახებ! — უთხრა, ბილეთების აღების შემდეგ ლუარსაბმა.

— შენ კი შემოგევლე! აბა, შენ ვიხზე ნაკლები ხარ, შენ კი გენაცვალე მაგ მოსაზრებაში, შენზე მეტი უცოდინარები არ იცავენ მაგ დისერტაციასა?! — დაუყვავა დარეჯანმა და შაქარივით გაუტკბა გამარჯვებულის პოზაში მდგომ ლუარსაბს.

**გ. ირაკლიშვილი**

# სჯობს გვიან, ვიდრე არასდროს

საგზური წელსაც არ მომცეს,
დავდივარ ნერვებმოშლილი;
სიცხემ და პაპანაქებამ
გადამირია ცოლ-შვილი.
ოჯახზე ხელი აიღეს,
შინ კერძიც აღარ კეთდება,
ან ცოლი მომკლავს, ან შვილი,
ან სისხლი გამითეთრდება.
ყველა კრიჭაში ჩამიდგა,
ყველა მწყევლის დ მაქვავებს,
სახლიდან როგორ გავიქცე?..
(თუმცა, არავინ მაკავებს!)
მარტო ამ წვრილმან ხარჯებთან
ველარაფერი გავაწყე,
ეს დასიცხული ცოლ-შვილი,
ნაყინით ველარ გავაძღე.
ჩემთვის არც სმაა, არც ჭამა,
ლამის ქუჩაში დავეცე.
დღე სამსახურში ვაგდივარ,
საღამოს ცოლ-შვილს დავეძებ.
პროტესტის ნიშნად, სახლიდან
გარბიან დილა-სისხამზე,
ხან ლისის ტბაზე არიან,
ხან კიდევ — თბილისის ზღვაზე
ხან, ამ თაკარა სიცხეში,
კუს ტბაზე იხარშებიან,
სადაც სადილი მოუსწრებთ,
ვახშმადაც იქა რჩებიან.
რა ენაღვლებათ, ჩემს ხარჯზე,
ყველა ღრეობს და ქეიფობს,
მე ყელში ლუკმა არ ჩამდის,
ზედ საყლაპავთან დრეიფობს.
ხმა ველარ ამომიღია,
მოგრეხილი ვარ კავივით,
ხელფასს მივიღებ თუ არა,
დნება შაგრენის ტყავივით.
საგზურს ზამთრისთვის
შემპირდნენ,
წავალთ, ყინვამც რომ დაგვაზროს,
ადგილკომს პირში მივახლი:
სჯობს გვიან, ვიდრე არასდროს!

გრ. ჩიქვილაძე.

# სიცოცხლის ხანგრძლივობის ამოუცნობი საიდუმლო!

ამ რამდენიმე ხნის წინ ერთ კანადურ ჟურნალს წავაწყდი. მთელი ოთხი გვერდი საქართველოს მრავალწლიან მოხუცებს ეძღვნებოდა. სტატია აჭრელებული იყო ფოტოებით. 100 წლის მოხუცები ცეკვავდნენ თითის წვერებზე, ხეებზე გასულნი ყურძენს კრეფდნენ, უამრავი შთამომავლით გარშემორტყმულნი, ამაყად ისხდნენ ფოტოს შუაში... ჟურნალს საშინლად აინტერესებდა, რა რეჟიმს იცავს ეს ხალხი, რა ყაიდაზე ცხოვრობს, რას ჭამს, რას სვამს, როგორ სძინავს და ა. შ.

მიზეზი კი სულ უბრალოა: სიტყვის ხალხია. ეს არის და ეს.

...ბაბუაჩემი ოცდაათი წლის გახლდათ, ცოლი რომ მოიყვანა. რაღაცით ხომ უნდა აენაზღაურებინა ეს დაკარგული დრო. ჰოდა, იყოლია შვიდი შვილი. შვიდივე ვაჟი შეეძინა. ქალიშვილს მოწყურებულმა ბებიამ და ბაბუამ მოგვიანებით ერთი შვილი კიდევ გააჩინეს, მაგრამ, ვინ გაიგებს ბედის ავანჩავანს? მერვეც ვაჟი შეეძინათ — მამაჩემი.

აი, მაშინ ეთქვა ბაბუას:

— ერთი ჩემი ნაბოლარა ბიჭი დაკაცებული, ცხოვრების გზაზე დამდგარი მაჩვენა და მერე მომკლა!

დაამთავრა მამაჩემმა უმაღლესი და გამოვიდა ცხოვრების გზაზე.

ერთი ამის ქორწილსაც მომასწრო და მერე ჯანდაბას ჩემი თავიო...

დაოჯახდა მამაჩემი.

ერთი ამის შვილიც მანახა და მერე დამეხუჭოს თვალებიო.

მე მეოთხე შვილად გავუჩნდი მშობლებს. არც ჩემი ბიძები ისხდნენ გულხელდაკრეფილნი. ბაბუა იქაც ამბობდა თავის სიტყვას.

ერთი ჩემმა აჩიკომ სკოლა დაამთავროს და იმწამსვე მომკლაო, — დამადევნა ბაბუამ.

სკოლაც დავამთავრე და უნივერსიტეტიც.

ბაბუა კი თავის სიტყვაზე იდგა:

ერთი ამის შვილსაც მომასწრო და ჩემი ფეხით წავალ სასაფლაოზეო...

ამას წინათ ჩემს პირველ გოგოს ერთი წელი შეუსრულდა. დაბადების დღეზე მთელმა ნათესაობამ მოიყარა თავი. უამრავი შთამომავლით გარშემორტყმული ბაბუა ამაყად იჯდა მაგიდის შუაში. ყელმოღერებულმა, ვეებერთელა ყანწი აღმართა და წამოიწყო:

— ერთი ჩემი ნანუცა მანახა დაქალებული და მერე...

— ააჰ! — იკივლა ბებიამ და იშიაზიანი წელი ძლივს გამართა მაგიდასთან, — არ გამაგონო, ბერიკაცო, ცას ხომ არ გინდა გამოეკერო! ახლა კი სიტყვა სიტყვაა!..

— მეც მაგას ვამბობ, სანამ ამ ბაღნებს არ დავაბინავებ, — გადახედა პაპამ 30 წლის „ბაღნებს", მათ ნაგრამს და ყანწი ბოლომდე გამოსცალა...

რის რეჟიმი, რა რეჟიმი!

წადით და გაიგეთ, რამდენი წლისაა ბაბუაჩემი.

არადა, იმ დღეს, თუ ყურმა არ მომატყუა, მგონი ბებიამაც წაიბუტბუტა.

— ერთი ნანუცას შვილს მომასწრო და მერე...

აი, ასე!

სიტყვა სიტყვაა!

ზ. გემაზაშვილი

ნახ. ა. ქაჯელაძისა



# მეგობარო, მათხოვე ქალი!

უკვე შუაღამე მოახლოვდა და ლენინის მოედანზე ჩამოვედი.

საშინლად კმაყოფილი ვიყავი იმით, თამადას რომ ასე მოხერხებულად დავუსალტი ხელიდან და ქალიშვილების გაცილებაც ოსტატურად ავიცდინე.

ამ დროს ტროლეიბუსით ან ავტობუსით ვაკეში წასვლაზე ოცნებაც კი არ შეიძლებოდა. ტაქსების სადგომს ირიბად გავხედე. რიგი რომ დილამდე არ მომიწევდა, დარწმუნებული ვიყავი, მაგრამ საკუთარი თავის დასამშვიდებლად მაინც ჩავდექი ტაქსის მომლოდინეთა შორის.

ჩემს წინ მდგომ ზორბა ქალს, ეტყობა თავიდანვე არ მოვუვედი თვალში და მწყერზე დაგეშილი პოინტერივით სულ კოჭებში მიყურებდა. ფეხების ყოველ მოძრაობაზე, თვალებით მანადგურებდა და საკმარისი იყო ოდნავ მასზე წინ წავწეულიყავი, რომ მართლა შუაზე გამგლეჯდა. ურიგოდ გაძრომის იმედი საბოლოოდ დამეკარგა. ავდექი და პროსპექტს დავუყევი, იქნებ ბესიკის ან ჭავჭავაძის ქუჩიდან ჩამომავალ ტაქსს წავაწყდე-მეთქი.

მწვანეშუქნიშნიანი ტაქსები ერთიმეორეზე მიყოლებით ჩამორბოდნენ თავდაღმართიდან, ვყვიროდი და ვსისინებდი, ვბღაოდი და ვუსტვენდი, მაგრამ ყველა ღონისძიება ამაო იყო.

უცებ, ერთმა ტაქსმა სვლა შეანელა. თვალები ორივე ხელით მოვისრისე და რომ დავრწმუნდი, მართლა ჩერდებოდა, სიხარულისგან ფეხები ამერია. იმწამსვე ვეცი კარებს.

— ზანიატი ვარ, ვერა ხედავ? —მითხრა მძღოლმა.

თვალი გავაყოლე მისი უკანგაშვერილი ცერა თითის მიმართულებას და ხელიხელჩაკიდებული, აქოშინებული ქალ-ვაჟიც მოაწყდა კარებს.

თვალებში რომ სინათლე დამიბრუნდა, ქუჩა პირწმინდად იყო დაცარიელებული.

ამოვედი ტროტუარზე დ ანაგარიშმიუცემლად წავლასლასდი წინ. ღვინისა და სიბრაზისგან დაბინდულ ჩემს გონებას უეცრად ჩხუბისმაგვარი ხმა მოსწვდა. სადარბაზო შესასვლელიდან ქალი და კაცი გამოვიდა. საკმაოდ შორს იყვნენ და ყველა სიტყვა ვერ გავარჩიე, მაგრამ ის კი შევნიშნე, რომ ქალი ხელებს შლიდა და კაცს ცხვირწინ უტრიალებდა.

— ნუ ღელავთ, ვერონიკა ჯიბილოვნა! —მომესმა კაცის სასოწარკვეთილი ხმა, — ყველაფერი მოგვარდება!

ტაქსმა გაისრიალა და იმათ რომ მიუახლოვდა, სვლა შეანელა, მაგრამ ქალმა ისე რომ, ქაქანი არ შეუწყვეტია, ანიშნა, არ გვჭირდებიო და ტაქსიც გაუჩინარდა. მე კი სემაფორივით აღმართული ხელი დუნედ ჩამომივარდა ძირს.

ღრუბლებით დაჯარულმა ცამ მოთმინების ფიალა გადმოაპირქვავა და ცრისსიმსხო წვეთებად დაუშინა ქალაქს. მე ანგარიშმიუცემლად მოვწყდი ადგილს, წყვილისკენ გავექანე და მღელვარებისგან დაღრეჯილმა, გათვალისწინებულზე მაღალი ტონით, შევღრიალე კაცს:

— მეგობარო, მათხოვე ეგ ქალი!

— სულ მიირთვი, შენი ჭირიმე, სიდედრია ჩემი! —მიჩურჩულა თვალებგაბრწყინებულმა კაცმა და კედელზე მისვენებულ, შიშისგან თითქმის გონებაწართმეულ ქალს გადახედა.

— დიდი მადლობა! იქნებ, ახლა მაინც გამიჩერონ ტაქსი! — ვთქვი მე.

ტაქსის ხსენებაზე ქალს ფერი მოუვიდა, წელში გასწორდა, მომხიბლავად გამიღიმა და სიძეს მიუბრუნდა:

— თამაზ! მე ეს ახალგაზრდა გამაცილებს, შენ შინ წადი და ლიკას მოეხმარე ბავშვის დაძინებაში!

ტანში გამცრა ერთადერთი მანეთიანის პატრონს. ვინმეს გაცილება რომ მდომოდა, ქალიშვილების მეტი რა იყო იმ სუფრაზე...

ამასობაში, სიძემ თავს უშველა, სიდედრისგან ფარულად ერთი საჰაერო კოცნაც გამომიგზავნა და უკანმოუხედავად გაჰქუსლა; ტაქსიც ყოველგვარი „სსიუ"-ს გარეშე ჩვენს წინ დაერჭო.

— დაბრძანდით! —ამოვილუღლუღე მე.

ახლა ერთადერთი იმედი-ღა შემრჩა: იქნებ, ამ ქალსაც ვაკისკენ ჰქონოდა გზა?

ენაგადაყლაპული ჩავესვენე უკანა სავარძელში.

— საით, ჩვენი ძმა?—მომიბრუნდა დევივით თვალებბრიალა მძღოლი.

„ჯანდაბაში!" —გავიფიქრე და სანამ რამეს ვიტყოდი... „მესამე მასივში!"—კეკლუცი მეცო-სოპრანოთი გადაულაპარაკა გვერდით მჯდომმა ვერონიკა ჯიბილოვნამ მძღოლს და მეც საბოლოოდ დავკარგე ნორმალური აზროვნების უნარი.

ლალი გვასალია

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ავტომატსალაროები

ავტოტრანსპორტელთა ცხოვრებაში დიდმნიშვნელოვანი მოვლენა მოხდა — მთელ რიგ ავტობუსებზე ავტომატსალაროები დაიდგა.

სალაროები საიმედოდაა დამაგრებული ძარაზე და დაზღვეულია ცნობისმოყვარე ბიჭებისგან, რომ ავტობუსიდან ქუჩაში არ გადააადგილონ; შეღებილია წითლად და შეხამებულია იატაკიდან აჩაჩულ რეზინის საფენებსა და სავარძლებიდან ცნობისმოყვარედ თავაღერილ ზამბარებთან.

ავტომატსალაროებით სარგებლობის წესი: მგზავრი დგება სალაროსთან, იძრობს ათმანეთიანს, ილუზიონისტივით აჩვენებს ხალხს, რომ ნამდვილი ათმანეთიანია და შემდეგ აბრუნებს (რასაკვირველია, საკუთარ ჯიბეში). მერე ჯდება სკამზე და ამთქნარებს.

საწყისი პუნქტიდან გასვლამდე კი ასე ხდება: მძღოლი დგას სადისპეტჩეროსთან და ელოდება ავტობუსის „გაძღომას". შემდეგ ამოდის წინა ბაქნიდან და ჩვეულებრივი კონდუქტორივით ყიდის ბილეთებს. ავტობუსი რომ სპეკულანტის ჩემოდანივით გაიტენება, მძღოლი თავის ადგილს იკავებს და სარკმლიდან თავგამოყოფილი კითხულობს:

— კიდევ ვის აკლია?

— მე, ბატონო!

— მაიტა!

— ბილეთი?

— მიდი და მოხიე!

მგზავრი ეჯაჯგურება სალაროს და, ბოლოს, გასავათებული ეუბნება მძღოლს:

— რატომ არ იძლევა?

— ჩაუწერე საჩივრის წიგნში! — არიგებს მძღოლი და ავტობუსიც დაიძრება.

იდეალური სიწყნარეა ავტობუსში. აღარ გაისმის კონდუქტორის ღრიალი: „აიღეთ ბილეთები და მერე გაიარეთ!", „მარცხენა მხარეზ წაიწიეთ წინ!", „შჩოლკიანო, გადმოაწოდე ფული!", „შლაპიანო, დაუთმე ადგილი ორსულ ქალს!" და სხვ.

მოქალაქენო, ისარგებლეთ ავტომატსალაროებით!

აკ. მუხურაძე

# მინიატურები

## მედიცინის სიახლენი

— **ბებია**, აი, ესაა პრედნიზოლონის მალამო — რევმატული და ქრონიკული პოლიარტრიტის, ანკილოპოეტიკური სკონდილარტრიტისა და რევმატული კარდიტის ანდრენოგენიტალური წამალი.

— თუ არ გაჭრა, რა მიშველის, შვილო?

— თხის ქონი, ბებია.

## მწერალი მივლინებაში

— **ბიჭუა!** ჰაი, ბიჭაისი! არა უწყი ხევსურეთჩი მიმავალ ბილიკა შატილისკენ მუნ დალა თუ მანქანითა კუალად აღვიდე და წარვემართო გარნა აღმართსა ფრიად ხეობასა შინა?

— შატილამდე ჩვიდმეტი კილომეტრია, ოღონდ, იქ თუ აგრე ილაპარაკე, ეშმაკიც ვერ გაგიგებს.

ქართლოს კასრაძე

# ქალების გასაჭირი

„წინდები, წინდები, კაპრონის წინდები!" —
იტყვი და... ვიტრინას უმალვე სცილდები.
სცილდები, ბრუნდები და კვლავ აკვირდები,
„რა ვქნა, რომ მჭირდები, უსაზღვროდ მჭირდები..."
ფულს აწვდი გამყიდველს, ისიც გულს გიხარებს:
„სულ ლხინში გაცვითე, თან ფრთხილად იხმარე!"
ჩაცმა და... წყდებიან ძაფები ძველები,
ძაფებთან — ქალების გული და ნერვები...
და განაწამები, ჩივიან ქალები:
„კვლავ საით გაურბის ამ ტიალს თვალები?"
ეჰ, გამძლე წინდები რომ ქსოვონ სახმარად,
მერე და... რაღა ქნას თბილისის ქარხანამ?..

ეთერ ჯღამაძე

490
12/IV

ნახ. ვ. ფირცხალავასი



— რა მოუვიდა ყურზე?
— მეორეჯერ ეყოლა ტყუპი ბიჭი და ეშინია, ყურები არ აახიონ.

ნახ. ზ. ფორჩხიძისა



ნამდვილად გახსოვს, შარვალი რომ გეცვა?

მთავარი რედაქტორი ნოდარ დუმბაძე.

სარედაქციო კოლეგია: ხ. კლდიაშვილი, ნ. მალაზონია, გ. ნიშნიანიძე, ნ. შველიძე, ო. ჭელიძე.

საქ. კპ. ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა

თბილისი. სატირისა და იუმორის ჟურნალი „ნიანგი". Тбилиси. Сатирико-юмористический журнал „Нианги".

რედაქციის მისამართი: რუსთაველის პრ. № 42. ტელეფონები: რედაქტორის—9-76-69, საერთო განყოფილების—3-10-78

ხელმოწ. დასაბ. 30/VI-1966 წ. ქაღ. ზომა 70×108 1/8 0,5 ნაბ. ფურც. 1,37. ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 0,5, პირობით ფორმათა რაოდენობა 1, ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ. საქ. კპ ცკ გამომცემლობის სტამბა № 1. ლენინის ქ. № 14. შეკვ. № 2317 უე 03123 ტირაჟი 55000

ნახ. გ. ლომიძისა




დამლაგებლის იღბალი.

ИНДЕКС 76317

ეროვნული ბიბლიოთეკა